<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016054) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტში დაწესებულია თავისუფლების საპარლამენტო ორდენი, პარლამენტის მედალი და სამკერდე ნიშანი „საქართველოს პარლამენტში უმწიკვლო სამსახურისათვის“.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1] პუნქტი:

„3[1]. სამკერდე ნიშნით „საქართველოს პარლამენტში უმწიკვლო სამსახურისათვის“ შესაძლოა დაჯილდოვდეს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი პარლამენტში 25 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის, თუ განვლილი სამსახურის პერიოდში მისი წახალისებების რაოდენობა აღემატება დისციპლინური გადაცდომების რაოდენობას და ამ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების პერიოდში მის მიმართ არ მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.“;

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თავისუფლების საპარლამენტო ორდენით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით, ხოლო პარლამენტის მედლით ან სამკერდე ნიშნით „საქართველოს პარლამენტში უმწიკვლო სამსახურისათვის“ პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას – პარლამენტის თავმჯდომარე.

5. თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და სამკერდე ნიშნით „საქართველოს პარლამენტში უმწიკვლო სამსახურისათვის“ დაჯილდოების წესს და ფულადი ჯილდოს ოდენობას, აგრეთვე თავისუფლების საპარლამენტო ორდენის, პარლამენტის მედლისა და სამკერდე ნიშნის „საქართველოს პარლამენტში უმწიკვლო სამსახურისათვის“ აღწერილობებს ბრძანებით ადგენს პარლამენტის თავმჯდომარე.“.

2. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) იღებს გადაწყვეტილებას პირის თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და სამკერდე ნიშნით „საქართველოს პარლამენტში უმწიკვლო სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ;“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე